

**„ XX საუკუნის ქართული მწერლობა და ნაციონალური იდენტობის იდეა.
ნამდვილი ისტორია“**

15 ივნისს Zoom-ის Online პლატფორმაზე გაიმართა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი გრანტების 2019 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტის - „მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა და ნაციონალური იდენტობის იდეა. ნამდვილი ისტორია“ [#SPG-19-363] ფარგლებში მომზადებული ამავე სახელწოდების სამეცნიერო-შემეცნებითი ფილმის პრეზენტაცია.

ფილმი მომზადდა კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის (GCLA), შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (CIU) მიერ.

პროექტის ხელმძღვანელი და იდეის ავტორია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ირმა რატიანი.

ფილმში, ქართული მეცნიერების წამყვანი ლიტერატურათმცოდნეები - ბელა წიფურია (ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი), გაგა ლომიძე (ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი), ირმა რატიანი (ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი), როსტომ ჩხეიძე (ლიტერატურათმცოდნე, მწერალი), მანანა კვაჭანტირაძე (ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი), - აუდიტორიას მოუთხოვრებენ მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, უზიარებენ ქართველ მწერალთა ინტელექტუალური თუ პიროვნული თავისუფლების შეზღუდვისა თუ ხელყოფის აქამდე უცნობ დეტალებს, რაც, ბუნებრივია, ფართო საზოგადოებას ქართული მწერლობის სრულიად ახლებური გააზრებისა და ინტერპრეტირების შესაძლებლობას მისცემს. მთხრობელები, კონკრეტული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სტრატეგიის ფონზე, წარმოადგენენ ერთ-ერთი ყველაზე რთული და წინააღმდეგობრივი ლიტერატურული ეპოქის მეცნიერულ შეფასებას.

ფილმი ორი ნაწილისგან შედგება და მოიაზრებს ქართული ლიტერატურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდის განხილვას. ფილმს გასდევს ინგლისური ტიტრები, რათა მისი ნახვისა და მოსმენის საშუალება მიეცეს არაქართულენოვან აუდიტორიასაც.